

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება, რაც თავის მხრივ, განპირობებულია საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის პროცედურების დახვეწისა და ზედმეტი ადმინისტრაციული ჩარევისგან გათავისუფლების აუცილებლობით.

ა.ბ.) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა და საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის პროცესების ეფექტურობის გაზრდა, დახვეწა და ზედმეტი ადმინისტრაციული ჩარევისგან გათავისუფლება.

ა.გ.) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21² მუხლის მე-3 პუნქტიდან ამოღებულია მაკონტროლებელი ორგანოს მიერ სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის შესახებ ცნობის ასლის წარდგენის ვალდებულება სასამართლოში მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ შუამდგომლობის აღძვრისას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში დაიზოგება ადმინისტრაციული ორგანოების მატერიალური რესურსები.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი მურთაზ ზოდელავა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი მურთაზ ზოდელავა.